ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

№გ.შ.16.01/20 16.01.2020წ.

ერთის მხრივ, **შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“** (შემდგომში ‘’შემსყიდველი’’), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის შალვა შავიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ტელკო სისტემს”** (შემდგომში „მიმწოდებელი‘‘) წარმოედგინილი მისი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ‘‘ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]‘‘ ქვეპუნქტითა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე’’ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა’’ პუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი განისაზღვრება წინამდებარე ცხრილის მიხედვით:

№	საქონლის დასახელება	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
1	კომუტატორი, TEF1105P-4-63W 5-Port 10/100Mbps Desktop Switch with 4-Port PoE Switch	32570000	3 ცალი	101.35	304.05
2	კომუტატორი, TEF1109P-8-63W (9-Port 10/100Mbps Desktop Switch with 8-Port PoE)	32570000	3 ცალი	164.60	493.8
3	საკომუნიკაციო აუთლეტ პანელი, Patch Panel CAT5E UTP 24 Port 110/Krone/Dual IDC	32570000	3 ცალი	40.40	121.20
4	სადენი, JHT-LCSM2DX-1M (LC/UPC-LC/UPC SM Duplex, PVC3.0mm, 1 meters (1m))	32570000	5 ცალი	6.40	32
5	სადენების ორგანაიზერი, JB06 1U Cable management, black	32572000	2 ცალი	12	24
6	სადენების სამაგრი, Cable Ties - Length:4.8x 400mm (100 per package)	32572000	1 ცალი	11.60	11.60
7	სადენების სამაგრი, Cable Ties - Length:3.6x 300mm (100 per package) (Black)	32572000	1 ცალი	7	7
8	საბეჭდი, Label printer (LP5125A pro)	32572000	1 ცალი	365.30	365.30
9	საბეჭდის მელანი, Label Tape (L-631E)	32570000	1 ცალი	30	30
10	საბეჭდის მელანი, Label Tape (L-731E)	32570000	1 ცალი	32	32
					ჯამი: 1420.95

2. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 03 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2. საქონლის მოწოდების ადგილია „შემსყიდველის‘‘ ოფისი, მდებარე: ქ.თბილისი, სარაჯიშვილის №116.

2.3. „მიმწოდებელი‘‘ ვალდებულია „შემსყიდველს‘‘ საქონელი გადასცეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებითა და ანგარიშფაქტიროთ, რომელზეც შესაბამისი წესით დადასტურება მიიჩნევა საქონლის მიღება-ჩაბარებად.

3. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 1420.95 (ერთი ათას ოთხასოცი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, საქონლის ფაქტიურად მიწოდებიდან 03 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4. საქონლის ხარისხი

4.1. შესასყიდი საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლისათვის არსებულ სტანდარტს.
4.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.
4.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გარეშე.
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს უხარისხო საქონლის მიწოდებით მიყენებული ზიანი.
4.5. მიმწოდებელი იძლება გარანტიას, რომ შესასყიდი საქონელი არ არის სადაო, არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და მესამე პირს არ შეიძლება ჰქონდეს მიწოდებული საქონლის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია.
4.6. თუ წუნის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება მიმწოდებელი ვალდებულია დაუბრუნოს შემსიყდველს გადახდილი ღირებულება და სრულად აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.
4.7. შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს შესაბამისი ზომები ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი არვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) მიმწოდებლის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის დაწყების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
5.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს სრულად აუნაზღაუროს ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება.
6.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისის დასაბუთებული ინფორმაცია.
6.3 „მიმწოდებელთან“ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებას შედეგად „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
7.2. ხელშეკრულებაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით გამოწვეული ზარალი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
7.3. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ზედამხედველობასა და კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შესყიდვების სამსახურის უფროსი მიხეილ გიორგაძე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამით დადასტურებისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებულია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია/დადასტურებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მხარეთა მისამართები და საბანკო რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"	**შპს „ტელკო სისტემს"**
მის: ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, ახვლედიანის №21 ს/კ: 205140257 ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" – კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE17TB1100000360200175	მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №221, კორპუსი 1ა, ბინა 33 ს/კ: 205203279 ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" – კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE75TB4021536020100006
შალვა შავიშვილი _____	ირაკლი გულიაშვილი ———————————

State Construction Company

Digitally signed by State Construction Company
DN: cn=State Construction Company, 2.5.4.97=NTRGE-205140257, o=••• •••••••••• ••••••••••• •••••••••, c=GE
Date: 2020.01.16 13:44:04 +04'00'